ფასი 10 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს.ს.ფ.რ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და თბილ. კომიტეტების და საქ. ხალხის ორგანო

ფასი წელიწადში—14—76, ექვს თვეში—38—17, სამ თვეში—19—58, ერთ თვეში—6—81.

სამშაბათი, 10 ოქტომბერი 1933 წ. № 234 (3790)

საშემოდგომო თესვა ქირითავდად უნდა დამთავრდეს 20 ოქტომბრამდე

მივაღწიოთ სასწრაფო გარდატეხას საშემოდგომო თესვაში

მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვის შედეგებმა თვალსაჩინოდ გვიჩვენა, თუ ოა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თესვის დროზე დამოკლე ვადებში ჩატარებას. მიმდინარე წელს თითქმის ყველა კულტურების ხარი მივიღეთ კარგი და უხვი მოსავალი. ამაში მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ დროულად იყო ჩატარებული, როგორც ნიადაგის მომზადება, ისე თესვა და ნათესების დამუშავება.

საჭირო იყო აქედან სათანადო დასკვნის გამოყვანა, საჭირო იყო კოლმეურნეთა მასების შემოქმედებითი ინიციატივებისა და აქტივობის ენერგიული მობილიზაცია იმისათვის, რომ საგაზაფხულო თესვის გამოცდილებათა საფუძველზე მიგვეღწია შემოდგომის თესვის ვადაზე დამთავრებისათვის. საჭირო იყო ჯერ კიდევ ივნისის მარცვლეულის მოსვლის აღების პერიოდში სათანადო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის გაშლა, შემოდგომის თესვის ვადაზე ჩატარების მნიშვნელობის ფართო პოპულიარიზაცია და ყველა ზომების მიღება, რათა არ დარღვეულიყო ეს ვადები.

ცნობები საშემოდგომო თესვის მიმდინარეობის შესახებ, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ მოწმობს, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებმა არ მიიღეს სათანადო გადამჭრელი ზომები საშემოდგომო თესვის სამუშაოთა ვადაზე დამთავრებისათვის. საქართველოს სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ის მიერ დაწესებული ვადების თანახმად, ნიადაგის მომზადება საშემოდგომო კულტურებისათვის უნდა დამთავრებულიყო 10 სექტემბრამდე, ხოლო თესვა ძირითადად უნდა დაგვემთავრებია 20 ოქტომბრისათვის. ფაქტიურად საშემოდგომო ხვნის დავალება შესრულებულია 45.9 პროცენტით, ხოლო თესვის 14.2 პროცენტით. გურჯაანის რაიონს მაგალითად, რომელმაც წელს შემოდგომაზე უნდა დათესოს 17.000 ჰექტარზე მეტი, საშემოდგომო ხვნის გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 11 პროცენტით. ყვარელის რაიონს ხვნა უნდა დაემთავრებინა 30 სექტემბრისათვის, გეგმა კი შესრულებული აქვს მხოლოდ 3 პროცენტით, სტალინისის რაიონს ხვნა უნდა დაემთავრებია 20 აგვისტოს, დღემდე შესრულებული აქვს გეგმის არა უმეტეს 20 პროცენტისა. პირველი ოქტომბრისათვის თესვა სრულიად დაწყებული არ ჰქონდა, სტალინისის რაიონის სოფ. რუისის და დირბის სასოფლო - საბჭოებში შეჰვალ კოლმეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეებს. სოფ. ზემო თიანეთის, ურნოს და ღულელების სასოფლო - საბჭოებს 5 ოქტომბრისათვის არც კი ჰქონდათ დაწყებული თესვის გეგმა განიგის ჩაბარება ერთპიროვნულ მეურნეებისათვის და სხვ.

ყოველივე ამას თუ დაუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ მიუხედავად ყველა ვადების ამოწურვისა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული საოთესლე ფონდების შეგროვება და სანახევროდაც არ არის გაწმენდილი. უკვე შეგროვილი თესლეულიც, ნათელი მაგალითია ის მეტად საგანგაშო ჩამორჩენა, რომელსაც ადგილი აქვს საშემოდგომო თესლეში.

ამ ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, სოფლის საბჭოები და კოლმეურნეობები მიეცნენ რა თვითკმაყოფილებას მიმდინარე წლის კარგი მოსავლის გამო, სათანადო მონდომებით და ენერგიით არ იბრძვიან თესვის გეგმების ვადაზე შესრულებისათვის. მთელ რიგ კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა, რომელთაც უკვე ჩაატარეს მოსავლის განაწილება დმიღეს მთელი წლის სამყოფი და კიდევ მეტი რაოდენობის მარცვლეული, — შიანელის ზრუნვა და მუშაობის ტემპები საშემოდგომო თესვის ვადაზე შესრულებისათვის. ამ უდარდელობის განწყობილებას ხელს უწყობენ კულაკური ელემენტები, კლასობრივ მტერთა აგენტები, ზარმაცები და საკოლმეურნეო მშენებლობაზე ორგულნი.

თესვის დარგში ამ მავნე და სამიშო განწყობილებას მწვავედ უნდა დავარტყათ. საბჭოთა ხელისუფლების და კოლმეურნეობათა დაუძინებელი მტერი და კულაკის აშკარა აგენტია ის, ვინც ხელს უწყობს დემობილიზაციის ტენდენციებს და ამგვარად საშემოდგომო სამუშაოთა მავნებლურ გაჭიანურებას.

პოლიტგანყოფილებების, სოფლის პარტიული ორგანიზაციების, თითეული პატიოსანი კოლმეურნის დამშრომელ ერთპიროვნულ მეურნის ვალია დაუზოგავად ამხილოს კულაკური ელემენტების მახინაციები მიმართული საშემოდგომო თესვის შესაფერხებლად და ძირშივე აღკვეთოს იგი.

არ არის სწორი კახეთის რაიონების მთელი რიგი ხელმძღვანელი ამხანაგების მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ხვნისა და თესვის ვადების დარღვევა გამოწვეული იყოს უმთავრესად არა ხელსაყრელი ამინდებით. გვალვამ მართალია ზოგან დააბრკოლა მინდვრის სამუშაოები, მაგრამ ჩამორჩენა კახეთში და მთელ რიგ სხვა რაიონებშიც გრძელდება გვალვების მოსპობის შემდეგაც. კამპანიების მორიგეობის პრაქტიკა, ოპორტუნისტული თვითმდინარება, ხვნა და თესვის ვადაზე დამთავრების შეუფასებლობა, საკმაო კონკრეტული ხელმძღვანელობის უქონლობა, მასიური მუშაობის სისუსტე და არა სათანადო სიმტკიცით ბრძოლა კულაკური ელემენტების წინააღმდეგ — აი თესვის ფრონტზე ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზები. მხოლოდ ამ მიზეზების აღმოფხვრა მოგვცემს საშუალებას სასწრაფო წესით გამოვასწოროთ საშემოდგომო თესვის სერიოზულად გარღვეული ფრონტი.

ძირშივე უნდა აღიკვეთოს ხვნისა და თესვის ვადების თვითნებურად დარღვევის ფაქტები, რომელსაც ადგილი აქვს გურჯაანის, სტალინისის, ყვარელის, თელავის რაიონებში, სამხრეთ - ოსეთში და სხვაგან.

გადამჭრელი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს გვიან თესვის დახვეწილ ტრადიციას, რომელიც დამღუპველ გავლენას ახდენს მოსავლიანობის გადიდებაზე. პარტიისა და ხელისუფლების სადირექტივო ორგანოები გეგმავენ სოფლის მეურნეობას, აწესებენ სას. სამეურნეო სამუშაოთა ვადებს, ეს ვადები **სავალდებულოა** ყველასათვის და ის უნდა შესრულდეს განურჩევლად.

განსაკუთრებით მკვეთრი ჩამორჩენა გვაქვს თესვის მხრივ **ერთპიროვნულ მეურნეობებში,** დროა ამას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს. სოფლის საბჭოები და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები პასუხისმგებელნი არიან თესვის დავალებათა შესრულებისათვის ერთპიროვნულ მეურნეობათა ხაზით, და მათ უნდა შექმნან ყველა პირობა ამ დარგში მოცემული გეგმების უკლებლივ შესრულებისათვის. **გადაჭრით ბოლო უნდა მოეღოს ლიბერალურ დამოკიდებულებას კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებისადმი,** რომელნიც მთელ რიგ რაიონებში (გურჯაანი, ყვარელი, კასპი). აშკარა საბოტაჟს ეწევიან და ზოგჯერ თესვის მტკიცე გეგმების მიღებაზე თავხედურად უარს აცხადებენ. კულაკები უნდა ვაიძულოთ უყოყმანოთ შეასრულონ თესვის მტკიცე დავალება.

არ არსებობს არავითარი ობიექტიური პირობა, რომელსაც შეეძლოს საშემოდგომო თესვის უკლებლივ რეალური გეგმების შესრულების შეფერხება. საჭიროა მხოლოდ ბოლშევიკური მონდომება, მინდვრის სამუშაოთა კონკრეტული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა დმუშაობაში ნამდვილი დამკვრელი ტემპების აღება.

მივაღწიოთ სასწრაფო გარდატეხას საშემოდგომო თესვაში, — ბივღოთ ყველა ზომა იმისათვის, რომ **თესვა ძირითადად დამთავრდეს არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა** — ასეთია საბრძოლო ამოცანა, რომელიც გაუხუნარელად უნდა შეგასრულოთ.

დანამაულოგრივი უყურადღებოგა სათესლე მასალის გაწმენდისადმი

ყვარელი, 7 ოქტომბერი. ყვარელის რაიონში სათესლე მასალის გადარჩევა და შეწამვლა სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 5 ოქტომბრისათვის სათესლე მასალის შეწამვლის გეგმა რაონში შესრულებული იყო მხოლოდ 10 პროცენტით.

— არ გვაქვს ტრიერები და შესაწამლი აპარატები, იმართლებენ თავს რაიმიწგანის მუშაკები, სინამდვილეში კი ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია სათესლე მასალის გადარჩევისა და შეწამვლისადმი უყურადღებო დამოკიდებულება. აი ფაქტიც:

სოფ. შილდის (საბჭოს თავმჯდომარე გელაშვილი) ყვარელის (თავმჯდომარე თვალჭრელიძე, გავაზის (თავმჯდომარე ტალაშვილი) და ზანობიანის (თავმჯდომარე ნებუმაშვილი) სასოფლო საბჭოებში არ არის დატვირთული ტრიერები. 4 ტრიერი სრულიად გაჩერებულია იმის გამო, რომ თავის დროზე არ შეაკეთეს იგი. **მუკუზანის რკ. გზის სადგურზე ყვარელის რაიონისათვის, კარგა ხანია მიღებულია სათესლე მასალის 6 შესაწამლი აპარატი, რომლის გადმოტანა დავალებული ჰქონდა ყვარელის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. თვალჭრელიძეს; მაგრამ მას ეს დავალება დღემდე არ შეუსრულებია.**

საჭიროა სასწრაფო ღონისძიების მიღება მდგომარეობის გამოსასწორებლად და სათესლე მასალის შეწამვლისა და გადარჩევის გეგმების ჩაშლისათვის კონკრეტულ დამნაშავის პასუხისგებაში მიცემა.

ზავრაშვილი.
გოგრიშელი.

საშემოდგომო სამუშაოების მდგომარეობა 5 ოქტომბრისათვის

(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

სათესლე და სადასაზღვევო ფონდები

საქართველოს სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 17 აგვისტოს დადგენილების თანახმად, სათესლე და სადაზღვევო ფონდების გამოყოფა უნდა დამთავრებულიყო არა უგვიანეს 1-ლი ოქტომბრისა. ფაქტიურად 5 ოქტომბრისათვის საშემოდგომო კულტურების სათესლე ფონდი გამოყოფილი იყო სულ 114.857 ცენტნერი, შესრულებული იყო გეგმის 88,4 პროც.

ამავე რიცხვისათვის სადასაზღვეო ფონდი (საშემოდგომო კულტურების) გამოყოფილი იყო 26.483 ცენტნერი, რაც გეგმის 44,8 პროც. შეადგენს.

ამრიგად, სათესლე და სადაზღვეო ფონდების გამოყოფის ვადები დარღვეულია, რაიონების პარტიულმა კომიტეტებმა, სამ.-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიღონ და ეს მდგომარეობა ყოველ მიზეზს გარეშე უახლოეს ხუთდღიურში გამოსწორონ.

ზემოხსენებულ დადგენილების თანახმად, სათესლე მასალის (მთელი 100 პროც.) გაწმენდა და მშრალი წესით შეწამვლა უნდა დამთავრდეს 15—20 დღით ადრე თესვის დაწყებამდე.

საშემოდგომო თესვა ახლა უკვე ყველგან დაწყებულია, მაშასადამე გაწმენდა შეწამვლა უკვე დამთავრებული უნდა იყოს ფაქტიურად 5 ოქტომბრისათვის გაწმენდილი იყო სათესლე მასალა 148.419 ცენტნერი (გეგმის 37 პროც.) აქედან კოლმეურნეობებს გაწმენდილი აქვს 57,3 პროც., ერთპიროვნულ მეურნეობებს—27,2 პროც., შეწამლული იყო 83.[illegible] ცენტნერი (20,8 პროც.); კოლმეურნეობებს შეწამლული ჰქონდათ 39,9 პროც., ერთპიროვნულ მეურნეობებს—11,7 პროც.

ამრიგად, სათესლე მასალის გაწმენდა-შეწამვლა უფრო სამარცხვინოთ არის ჩამორჩენილი, ვიდრე სათესლე მასალის გამოყოფა. ეს გარემოება აშკარა საფრთხეს უქმნის მთავრობისა და პარტიის დადგენილების შესრულებას სათესლე მასალის მთელი ასი პროცენტით გაწმენდა-შეწამვლის შესახებ.

ამიტომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, სამან.-სატრაქტორო სადგურებმა და ამ სადგურების პოლიტგანყოფილებებმა სათესლე მასალის გამოყოფასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მასალის გაწმენდა-შეწამვლის დაჩქარებას და ყოველ მიზეზს გარეშე უზრუნველყონ პარტიის და მთავრობის დადგენილების განუხრელად გატარება.

ვიადაგის ხვნა

5 ოქტომბრისათვის საშემოდგომო კულტურების დასათესად მოხნული იყო — 124564 ჰექტ., გეგმის 45,9 პროც. (კოლმეურნეობებს მოხნული ჰქონდათ 54 პროც., საბჭოთა მეურნეობებს—71,5 პროც. და ერთპიროვნულ მეურნეობებს—39,6 პროც.).

ამავე რიცხვისათვის მზრალად მოხნული იყო სულ 16.421 ჰექტარი, გეგმის 15,8 პროც. მათ შორის ბამბისათვის მოხნული იყო 825 ჰექტარი (10,5 პროც.) და შაქრის ჭარხლისათვის 2660 ჰექტარი, გეგმის 59 პროც. (კოლმეურნეობებს შესრულებული ჰქონდათ მზრალად ხვნის გეგმის 21,2 პროც., საბჭოთა მეურნეობებს—9,3 პროც. და ერთპიროვნულ მეურნეობებს—13,1 პროც.). ნიადაგის მზრალად მოხვნის გადიდებით დამოკიდებულება. აი ფაქტიც:

სოფ. შილდის (საბჭოს თავმჯდომარე გელაშვილი) ყვარელის (თავმჯდომარე თვალჭრელიძე, გავაზის (თავმჯდომარე ტალაშვილი) და ზანობიანის (თავმჯდომარე ნებუმაშვილი) სასოფლო საბჭოებში არ არის დატვირთული ტრიერები. 4 ტრიერი სრულიად გაჩერებულია იმის გამო, რომ თავის დროზე არ შეაკეთეს იგი. **მუკუზანის რკ. გზის სადგურზე ყვარელის რაიონისათვის, კარგა ხანია მიღებულია სათესლე მასალის 6 შესაწამლი აპარატი, რომლის გადმოტანა დავალებული ჰქონდა ყვარელის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. თვალჭრელიძეს; მაგრამ მას ეს დავალება დღემდე არ შეუსრულებია.**

საჭიროა სასწრაფო ღონისძიების მიღება მდგომარეობის გამოსასწორებლად და სათესლე მასალის შეწამვლისა და გადარჩევის გეგმების ჩაშლისათვის კონკრეტულ დამნაშავის პასუხისგებაში მიცემა.

ზავრაშვილი.
გოგრიშელი.

ორი ახალი კოლმეურნეობა

(ურეკის რაიონი)

მოსავლის განაწილებისა და საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით, სრულიად უბანში ჩამოყალიბდა ორი ახალი კოლმეურნეობა: „განთიადი" და მე-5 ლენინის სახელობის. პირველში გაერთიანდა 25 კომლი, ხოლო მეორეში — 22.

სამ.-სატ. სადგურის პოლიტგანყოფილების დახმარებით ახალ კოლმეურნეობებში გამოიყო ხელმძღვანელი ორგანოები.

კოლმეურნეობები უკვე შეუდგნენ საშემოდგომო ხვნა - თესვას.

ვ. ჯ.

არის პირველი ჯეჯილი

(შირაქის საბჭოთა მეურნეობიდან)

შირაქის საბჭოთა მეურნეობა საშემოდგომო მარცვლეული კულტურების თესვას 18 სექტემბრიდან შეუდგა. მეურნეობას დათესილი ჰქონდა 1,200 ჰექტ. (გეგმით მარცვლეული უნდა დაითესოს სულ 7.500 ჰექტარზე). აღნიშნული რიცხვისათვის მოხნული იყო 5.330 ჰექტ.

4 ოქტომბრიდან მეურნეობა შეუდგა მასობრივ თესვას. ამ რიცხვიდან ყოველდღიურად დაითესება 600 ჰექტარი.

მიუხედავად გვალვიანი ამინდებისა, **18—20 სექტემბერს დათესილ ფართობზე პური მასობრივად აღმოცენდა. ჯეჯილს საუკეთესო პირი უჭირს.** დაგვიანებული ნაკვეთები ორჯერ იფარცხება.

აგროინსპექციების შემოწმებით, **ხვნისა და თესვის ხარისხი დამაკმაყოფილებელია.**

საშემოდგომო თესვის წარმატებით ჩატარების მიზნით, შირაქის საბჭოთა მეურნეობამ სოც.შეჯიბრებაში გამოიწვია **ალაზნის საბჭოთა მეურნეობა.** სოც.შეჯიბრებას ხელმძღვანელობს სიღნაღის რაიონული გაზეთი **„კოლმეურნე".**

ხვნა - თესვის საქმეში ჯერ-ჯერობით წინ მიდის შირაქის საბჭოთა მეურნეობა.

ი. ჯოჯუა

საშემოდგომო სამუშაოები თვითდინებაზეა მიშვებული

ოზნი, 5 ოქტომბერი. რაიმიწგანყოფილების ინსპექტორმა ნ. ჩიქოვანმა დღემდისაც ვერ აიღო ხელი საშემოდგომო თესვის კამპანიის კანცელარიულ ბიუროკრატიულ მეთოდებზე, რაიონში საშემოდგომო თესვა თვითდინებაზეა მიშვებული.

ცუდად ჩატარდა მზადება საშემოდგომო კამპანიისათვის; დღემდის ჯერ კიდევ არ არის აღრიცხული სასოფლო - სამეურნეო ინვენტარი, რომელსაც შეეკეთება ესაჭიროება. ხვნა უკვე დაიწყო, მაგრამ ადგილობრივი ორგანიზაციები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ სათესლე მასალის მომზადების საკითხებს; რაიონში არც ერთ ორგანიზაციას არ შეუძლია იმის თქმა, თუ რამდენი თესლია გაწმენდილი და შეწამლული.

კოლმეურნეობათა უმრავლესობა ჯერ კიდევ არ შესდგომია სათესლე ფონდების [illegible] ორგანიზაციებს, კერძოდ, რაიმიწგანყოფილებას არაფერი არ გაუკეთებიათ იმისათვის, რომ დაეჩქარებინათ ეს მუშაობა.

თითქმის არც ერთი კოლმეურნეობა, გარდა ტომის კოლმეურნეობისა, არ შესდგომია თესლის შეწამვლას, 6.000 ცენტნერი თესლიდან შეწამლულია სულ-ოდ 110 ცენტნერი.

გადამშის, შაუბანის, მოკუჩეთის და კომანდელის კოლმეურნეობებში ვერ იყენებენ არსებულ ტრიერებს.

კოლმეურნეობათა უმეტესმა ნაწილმა: ღების, სორისამ და სხვ. ვერ შესძლო შეეთავსებინა მუშაობა საშემოდგომო თესვის კამპანიის ხაზით სმინდის აღებასთან. ამ კოლმეურნეობებში მთელი მუშა - ხელი გამოყენებულია სმინდის ტეხისთვის. ეს იმ დროს, როცა საშემოდგომო სამუშაოების გეგმები არ სრულდება.

25 სექტემბრისათვის რაიონში იმ 3.485 ჰექტარიდან, რომელიც გეგმით დანიშნულია საშემოდგომო კულტურების დასათესად, სულ მოხნულია 41 ჰექტარი. (ადს).

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. სოკოლნიკოვის 21 სექტემბრის განცხადებაში იაპონიის მოსკოველი ელჩის ბ. ოტასადმი და საბჭოთა კავშირის ტოკიოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. იურენევის 28 სექტემბრის განცხადებაში აღნიშნული იყო: საბჭოთა მთავრობას მოეპოვება იაპონიის ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ იაპონიის მთავრობის პასუხისმგებლობას იმ ღონისძიებათათვის, მანჯურიაში ამოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის მიმართო, რომ ტარდებოდა, ამჟამად სავაჭირო დეპეშათა სააგენტო აქვეყნებს მის მიერ მიღებულ იმ დოკუმენტების ნაწილს, რომელნიც ეხება იაპონიის სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციის მიერ ამოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდების მომზადებას. აღნიშნული დოკუმენტები ნათელს ფენენ იაპონიის როლს, უარყოფენ ოფიციალურ განცხადებებს მანჯურიის დამოუკიდებლობის და იმის შესახებ, რომ იაპონიის მთავრობა არ ღებულობს მონაწილეობას იმ დაპყრობითს მოქმედებაში, რომელიც ტარდება მანჯურიის ხელისუფლების სახელით. ამავე დოკუმენტებიდან, კერძოდ, სავსებით ნათელი ხდება, რომ ამოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის საბჭოთა თანამშრომლების დაპატიმრება სრულიადაც არ არის დამოწვეული მათ მიერ ჩადენილი რაიმე დანაშაულით, არამედ ჩატარებული იმ თათბირებზე მიღებულ დაპყრობითი გეგმების განსახორციელებლად, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობდნენ იაპონიის სამხედრო და იაპონიის მთავრობის წარმომადგენლები.

I. იაპონიის მანჯუგოელი ელჩის მოხსენება საგარეო საქმეთა მინისტრს 1933 წლის 4 სექტემბერს

1. მიმდინარე წლის გაზაფხულიდან დაწყებული მანჯუგო ღებულობდა მთელ რიგ ზომებს ამოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მიმართ. მაგალითად, ამოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მოითხოვა შემადგენლობის გაყვანის შეწყვეტის მიზნით შეწყდა სარკინიგზო კავშირი სადგურ პოგრანიჩნაიაზე. შემდეგ იმისათვის, რომ ჩვენს სასაგებლოდ წარვეგმარია ტოკიოში წარმოებული მოლაპარაკება გზის გამოყენების შესახებ, ამ ცოტა ხნის წინად მიღებულ იქნა მთელი რიგი ზომები, მანჯურულ მხარეს არ სურს გააბაროს, რომ აღნიშნული ღონისძიებანი ტარდება იმ მიზნით, რათა გავლენა მოახდინოს ტოკიოს მოლაპარაკებაზე, რომ ეს ზომები წმინდა ეკონომიური ხასიათისაა. ამის გამო მანჯუგოს განზრახვა აქვს დაუნებით მოითხოვოს: ა) ამოსავლეთ ჩინეთის რკინის გზისა და მთელი მისი აპარატის დაქვემდებარება მანჯურიის სახელმწიფოს კანონებისა და მისი გეგმებისათვის, რამდენადაც ეს გზა ითვლება მანჯუგოს სუვერენული ხელისუფლების ქვეშ და ბ) არ იქნას ცნობილი მუდენის და რუსეთ-ჩინეთის შეთანხმებათა შემდეგი პუნქტები: ისინი, რომელნიც ეწინააღმდეგებიან მანჯუგოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის პრინციპებს; პუნქტები, რომლებიც არ შეეფერებიან ამოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის, როგორც კომერციულ საწარმოს, საერთო სტატუსს; პუნქტები, რომლებიც არ შეეფერებიან ამოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის თანამედროვე მდგომარეობას და რომლებიც ამიტომ მოუდებელნი არიან. ყოველივე ეს აღნიშნული იყო მანჯუგოს მეზობლურ შეხვედრაზე (ტოკიოში). კონკრეტულ ღონისძიებებად აღნიშნული გეგმების განხორციელებისათვის დასახულია შემდეგი:

ა) მტკიცედ მოვითხოვოთ რეფორმების გატარება ამოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ადმინისტრაციაში, ტარიფების მტკიცე ცხრილის და მანეთობით ანგარიშის შემოღების; ყველა იმ საკითხს, რომლებიც შედის მმართველის კომპეტენციაში, ესპეციალური მანჯურიული თანამშრომლის ვიზა, ურომლისაც მმართველის მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად. დაუნებით უნდა მოვითხოვოთ, რომ განცხადება ამის შესახებ გაკეთებულ იქნას საბჭოთა მხარის მიერ დროს იგი იქნას განხორციელებული.

ბ) ჩვენი საპოლიციო და სატაბიჟო დაწესებულებათა ხელისუფალნი აწარმოებენ ჩხრეკას და დეტალურ გამოძიებას კომუნისტურ და კომპრომეტირებულ ორგანიზაციებში. პოლიციელებისა და სხვა არაელა-გალურ ორგანიზაციებში, რომელებიც მაც მოიკალათეს ამოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე. ადნიშნული ორგანიზაციების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას ზომები, რომელნიც ეხება იაპონიის სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციის მიერ ამოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდების მომზადებას. აღნიშნული დოკუმენტები ნათელს ფენენ იაპონიის როლს, უარყოფენ ოფიციალურ განცხადებებს მანჯუგოს დამოუკიდებლობის და იმის შესახებ, რომ იაპონიის მთავრობა არ ღებულობს მონაწილეობას იმ დაპყრობითს მოქმედებაში, რომელიც ტარდება მანჯურიის ხელისუფლების სახელით. ამავე დოკუმენტებიდან, კერძოდ, სავსებით ნათელი ხდება, რომ ამოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის საბჭოთა თანამშრომლების დაპატიმრება სრულიადაც არ არის დამოწვეული მათ მიერ ჩადენილი რაიმე დანაშაულით, არამედ ჩატარებული იმ თათბირებზე მიღებულ დაპყრობითი გეგმების განსახორციელებლად, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობდნენ იაპონიის სამხედრო და იაპონიის მთავრობის წარმომადგენლები.

II. იაპონიის მანჯუგოელი ელჩის მოხსენება საგარეო საქმეთა მინისტრს 1933 წლის 9 სექტემბერს

7 რიცხვისთვის განზრახული თათბირი გადადგა 9-თვის. ივი გაიმართა მანჯუგოს სახელმწიფო საბჭოს შენობაში.

კამათის შემდეგ გადავიდნენ კონკრეტულ მოკმედებათა ამ პროექტის განხილვაზე, ამა თვის 8 რიცხვს რომ შევიფუშავეთ იმ სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ სამინისტრო პასუხისმგებელი მუშაკები.

ბოლოს, ერთხმად გადაწყდა განხორციელდეს წარმოდგენილი პროექტი, იმ პირობით კი, რომ მხედველობაში იქნება მოცემული ქვემო ხსენებული შენიშვნები. სახელდო პირებმა და ჩვენმა საელჩომ სათანადო სამინისტროებს გაუგზავნეს დაწერილობითი მოხსენებანი. გთხოვთ სასწრაფოდ გვაცნობოთ თქვენი აზრი ყოველივე ზემოადნიშნულის შესახებ.

1. პირველი ნაწილის „ბ" პუნქტის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ პოლიციელების თავდასხმის ჩატარება ფართო მასშტაბით მოგვიხდება და გამონაწილი პირების ხელში ჩაგდება იქნება საჭირო—წინასწარ მოეწყობა საერთო თათბირი.

2. რადგანაც პროექტის მეორე ნაწილის პრაქტიკულად განხორციელება ძნელია, განხორციელებისათვის ჩატარება ხელსაყრელ შემთხვევის დროს და შესაძლო ფარგლებში.

3. პროექტის მე-5 ნაწილი ცხოვრებაში ტარდება წინასწარი გამოკვლის შემდეგ.

ზავრაშვილი.
გოგრიშელი.

III. იაპონიის მანჯუგოელი ელჩის მოხსენება საგარეო საქმეთა მინისტრს 1933 წლის 9 სექტემბერს

ჩრდილოეთ მანჯურიის რკინის გზის (ჩრდილოეთ მანჯურიის რკინის გზა, საკ. დეპ. საგენტოს შენიშვნა) ყოდვის გარშემო წარმოებული მოლაპარაკების წინ წაწევისთვის გადაწყდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. ჩრდილოეთ მანჯურიის რკინის გზის საკონტროლო განყოფილების და გზის სხვა ორგანოების გამოყენებით შეგროვებულ იქნას მასალები გზის საბჭოთა მუშაკების უკანონო მოქმედებათა შესახებ. აღნიშნული მასალები გამოძიების მოსახდენად გადაეცეს ექსპლოატაციის განყოფილებას და პოლიციის სამმართველოს.

ამასთანავე: ა) მიეცეს ნებართვა კონტროლის განყოფილებას შეუგროვოს ასეთი მასალები და აწარმოოს გამოძიება; სათანადო მომენტში მმართველის მრჩეველის ან მთავარმა ინსპექტორმა აღძრან საქმე სასამართლოს წესით; გ) სარჩელის აღძრის შემდეგ უნდა მოხდეს ბრალდებულთა დაკითხვა ან, თუ საჭიროება მოითხოვს, ისინი დაპატიმრებულ უნდა იქნას; დ) სათანადო ყურადღება ექცევა იმას, რომ არ შეიქმნას ყალბი შთაბეჭდილება ფართო პოლიტიური ჭერის ჩატარების შესახებ. ყველა განზრახულია ჩატარდეს მცირე მასშტაბით და დაპატიმრებულ უნდა იქნან არა გამოჩენილი პირები. ამავე დროს, არსებობს შესაძლებლობა, რომ გამოძიების პროცესში საჭირო გახდება ფარგლების გაფართოება და მსხვილი მასშტაბის მუშაკების მიცემა პასუხისგებაში (ყოველივე ეს უნდა გატარდეს ოპტიკური და პოლიციის დეპარტამენტის და სამმართველოს დეპარტამენტის შეთანხმებული მოქმედების საფუძველზე).

2. მანჯუგოს კავშირგაბმულობის სამინისტრო გამგეობის თავმჯდომარეს განკარგულებას აძლევს იმის შესახებ, რომ ამიერიდან გზის მმართველის ყოველ მოქმედებას და ბრძანებას უნდა ეძნეს მმართველის მოადგილის სანქცია. ამის დარღვევის შემთხვევაში, თავმჯდომარე მოვალეა შეაჩეროს ის, როგორც არაკანონიერი მოქმედება ან შეაჩერონ განკარგულების მოქმედება ან აღძრას საქმე სასამართლოს წესით. თავმჯდომარეს ევალება აცნობოს ეს გზის გამგეობას და განაყოფილების ყველა უფროსს, გარდა ამისა, კავშირგაბმულობის სამინისტრო ხელისაყრელ შემთხვევაში თავმჯდომარეს აძლევს განკარგულებებს, რომლებიც ეხება ტარიფების საკითხებს, თანამშრომლებას გზის მოსამსახურეთა რიცხვის მხრივ და სხვ. (ამას ახორციელებს გზების სამმართველოს დეპარტამენტი).

3. ხდება ხარბინში და ჩრდილოეთ მანჯურიის რკინის გზის ზონაში მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეების პროფესიის, საცხოვრებლით ადგილის, ჩამოსვლის მიზნის და პასპორტების გამოკვეთა. ტარდება ხარბინის კომერციული სასწავლებლის და სარკინიგზო კლასების მოსწავლეების გამოკვლევა გზის მთელ ხაზზე. გარდა ამისა, ტარდება სისტემატიური მეთვალყურეობა სხვადასხვა კომუნისტური ორგანიზაციის მიმართ (ამ ღონისძიებებს ცხოვრებაში ატარებს პოლიციის დეპარტამენტი).

4. კუთნილ გადასახადთა გადახდის და შორეული აღმოსავლეთის ბანკის და ჩრდილოეთ მანჯურიის რკინის გზის ჩამომხმარებელთა კოოპერაციის საერთო საქმიანობის

IV. იაპონიის ხარბინელ გენერალური კონსულის 1933 წ. 19 სექტემბრის მოხსენება იაპონიის ელჩისადმი მანჯუგოში

დღეს, 19 რიცხვს, სამხედრო მისიის შენობაში შეიკრიბნენ პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ნაგაო, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი კურიტამა, კავშირგაბმულობის სამინისტროს წარმომადგენელი ორია და ხარბინში მყოფი იაპონური და მანჯურული ორგანიზაციების სხვა მოხელენი (მოხელე მანჯურიის გამოკლებით) და არკვევენ იმ თეზისების გატარების მეთოდებს, რომლებიც წარედგინება ზემოაღნიშნულ თქვენს დეპეშაში. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს თეზისები განახორციელონ ადგილობრივი ძალებით.

1. ა) რაც შეეხება თქვენი დეპეშის 1 პუნქტს, გადაწყვეტილია ამ თეზის შუა რიცხვებში დაპატიმრებულ და საპყრობილეში მოთავსებულ იქნან ორთქლმავლების გატაცებისათვის პასუხისგებაში 6 კაცი და გზის სახარების უმართებულო ხარაჯვაში დამნაშავე ერთი კაცი; ა) საიდუმლო ნაწილის უფროსი კალინი, ბ) საორთქლმავლო დეპოს უფროსი ლავროვი, გ) მოძრავი შემადგენლობის მომარაგების განყოფილების უფროსი აბლოვი. დ) ფინანსყოფილების გამგე კუბლი (ყველა დასახელებული პირი ხარბინში იმყოფება), დ) სადგურ მანჯურიას დეპოს უფროსი ხიცენკო, ე) სადგ. მანჯურიას სადგურის უფროსი აბრამენკო, ვ) სად. პოგრანიჩნაიას უფროსი კატლი.

2. ჩრდილოეთ მანჯურიის რკინის გზის კონტროლის განყოფილება სასამართლო პალატის წინაშე აღძრავს საჩივრს ზემოხსენებულ დამრღვევთა წინააღმდეგ.

მოკრისიმა.

მეორე ხუთწლედის კაპიტალური მშენებლობის გეგმა ამიერ-კავკასიაში

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან).

მ

არ დავინდოთ საბოტაჟნიკები

რომლებიც აფერხებენ რკინისგზის ტრანსპორტის მუშაობის გარდაქმნას

საბოტაჟნიკები, ცრუდამკვრელები და მათი მფარველნი

(შორაპანი, მექანიზაციის სამუშაოები,

სადგ. შორაპანში შავი ქვის გადმოტვირთვის მექანიზაციის სამუშაოები მოკლებულია ყოველგვარ კონკრეტულ ხელმძღვანელობას, სამუშაოები უზრუნველყოფილი არ არის საჭირო ბარაღებით და მასალებით; როგორც ბაქოს, ისე ტფილისის სარეონტო ქარხნები გზავნიან სრულიად უვარგის მასალებს, რის გამო ბრკლდება მშენებლობის დროზე დამთავრება. არ არის მთლიანი ნახაზები, რაც იწვევს ადგილობრივი ნაწილების გადაკეთებას და სხვ. მუშები მშენებლობაზე წესიერად არ არიან განაწილებული.

ადგილობრივი პროფორგანიზაცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს შრომის დისციპლინის განმტკიცებას; სოცშეჯიბრება და დამკვრელობა აქ უცხო ხილია ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გაუარესდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები; ხაღმშენებლო დარგისა და მექანიზაციის ხე მუშაობის მუშებს შორის არავითარი კავშირი არ არსებობს ადგილობის თავმჯდომარე პ. კობახიძე აშკარად აცხადებს: „მექანიზაციის სამუშაოების მუშები ჩამოსული არიან, რა საჭიროა მათთან კავშირის დაჭერა? ესეც რომ არ იყოს, ისინი რუსებია, ჩვენ კი ქართველები“-ო. ეს სტატიები პირწავარდნილი ადგილობრივი ნაციონალიზმის გამომხატველია.

აქ უველასათვის ცნობილია საალმშენებლო სამუშაოთა მწარმოებელი ფცხილაძე, რომელიც, ვაგონიდან ძეძევის განკარაუნებებს და ბრძანებებს, მუშა-ხელის ორგანიზებულად შეგროვებასა და ბალების შეძენაზე ის თავს არ იწუხებს; ამ ყმაწვილს გვერდს უმწვენებს ადგილობრივი თავმჯდომარე კობახიძე, რომელიც აშკარად აცხადებს: „დამკვრელების ალრიცხვას არ ვაწარმოებთ; სოცშეჯიბრებაში ჩაბმული მუშების ხელშეკრულების გაფორმება რა საჭიროა; კულტურულ მუშაობას არ ვაწარმოებთ, შრომის დისციპლინის დამრღვევნი კი სრულებით არ გვეპყრობიან“ და ეს მაშინ, როცა ყველაზე მეტად აქ ირღვევა შრომის დისციპლინა, მაგ. უმიზეზოდ სამუშაო დღე გაცდენას ა. მუხლაძე (20, 26 და 30 სექტემბერს) და ჯ. ლომნაძე (27 და 30 სექტემ.) და ა. შ.

ბევრი კობახიძე იძლევა ასეთ ცნობას: „ჩვენს საფუშაოებზე ცრუ დამკვრელები სრულებით არ არიანო“. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ცრუდამკვრელებიც ბლომად მოიპოვებიან, მაგ. ვინ არის, თუ არა ცრუდამკვრელი, ა. მუხლაძე (ბრიგადირი), რომელიც სისტემატიურად იგვიანებს, უმიზეზოდ აცდენს სამუშაო დღეებს და გეგმებს არ ასრულებს?

„ჩვენ დამკვრელების, დაჯილდოვების არ გვივარგოებიო“.—ცხადებს, ბევრი კობახიძე და არც შეიძლებო და ეწარმოებიათ რადგან დამკვრელთა და საგრილოებლად მოსული 10 ცალი ფეხსაცმელი თვითონ გაინაწილეს შინაურულად. დამკვრელი მუხა ნასიძე ამაზე შედეგს ლაპარაკობს:

— ...ასწია ბრიგადამ ყველას წინ გაუსწრო, ვიგრძნე დამკვრელ მუშებს ჯილდოს მისცემდნენ, მაგრამ თითოც ნ გაინაწილესო.

ფეხსაცმელების განაწილების ღრმა, რომ ფცქიალაძე და კობახიძე ღვინით შეთვრნენ, საუკეთესო დამკვრელები გვეღირსებინოთ და ასეთი დოკუმენტი შეადგინეს: ფეხსაცმელები მიეცეს: ფცქიალაძეს, ა. კობახიძეს, ხაჯაიას (ტექნიკი) და სხვებს“ (ამ „სხვებში“ ნაგულისხმევია ფცქიალაძის და კობახიძის ახლო მეგობრები).

ხაღმშენებლო სამუშაოები გეგმით უნდა დამთავრდეს 25 ოქტომბრისათვის, რომგოც არკვევა, ამ დროისათვის სამუშაოების დამთავრება შეუძლებელია უმთავრესად მასალების უქონლობის გამო. აი რას ეპარაკობს გზის ოსტატი ნასიძე: „ჩემი ბრიგადა დღეს მოცდა; მასალების უქონლობის გამო სისტემატიურად მესამე დღეიგიით ვცდებითო“.

რა გააკეთა სამუშაოთა მწარმოებელმა ფცქიალაძემ მასალების შესაძენად? პრაქტიკულად, იგი ფეხმორთხმული წას ვაგონში და უსულელოდ წუწუნებს: „სულით და გულით მივდა ვალამდე ადრე შევასრულო დავალება, მაგრამ რა ვქნა, რაიონი ხელს არ მიწყობსო“.

— მექანიზაციის სამუშაოებს როდის დავამთავრებთ, არ ვიცით.—ეს სიტყვები ეკუთვნის მექანიზაციის სამუშაოთა მუშაკებს. რათ ამბობენ ისინი ამას? იმიტომ, რომ არა აქვთ ერთიანი სამუშაო გეგმა, არა ჰყავთ კვალიფიციური მუშა-ხელის საკმაო რაოდენობა. აქ უნდა მუშაობდეს 32 კვალიფიციური მუშა, ფაქტიურად კი მუშაობს 19 არა აქვთ სათანადო მასალები. ბაქოს და ტფილისის სარემონტო ქარხნები გზავნიან ისეთ მასალებს, რომლებიც გზავნიან ტფილისის სარემონტო ქარხნიდან გამო გზავნა ჭანჭიკები, რომლებიც სრულიად უვარგისი აღმოჩნდა. მათ შესაკეთებლად აქ გაცდა ოთხი მუშა 21 დღით. ბაქოს ხა რემონტო ქარხანამ გამოგზავნა ლიანდაგის სრულიად უვარგისი „რამეები“ ამის გამო სამუშაოები შეირღვა „რამეების“ გადაკეთებამდე და ამაზე გაცდა 7 კვალიფიციური მუშა.

გარდა ამისა, სამუშაოებისათვის საკმაო რაოდენობით არ გზავნიან სხვადასხვა ნაწილებს, სეკტემბერში აქ უნდა მიეღოთ 30 ცალი ჭანჭიკი, 30-ის ნაცვლად კი მიიღეს 21 ცალი; მთელი რიგი ნაწილების დეკემბრის სამუშაოთა ხელმძღვანელები მხოლოდ ახლა შეიტყვენ.

მექანიზაციისათვის შედგენილი ნახაზები სრულიად უვარგისია, ერთისა და იმავე სამუშაოს ნახაზი სხვადასხვანაირია, რაც იწვევს ერთი ნაგებობის გამეორებით შეკეთებას. მექანიზაციის სამუშაოთათვის ერთიანი ნახაზი არ არსებობს, ასეთი ნახაზის შედგენა კი დავალებული ჰქონდა ინჟინერ ედიბერს, რომელმაც ეს დავალება არ შეასრულა.

გზის უფროსმა ამხ. როზენცვეიგმა 8 სექტემბერს წინადადება მისცა ინჟინერ ედიბერს—შესდგომოდა მექანიზაციის ხა მუშაობებ. მაგრამ საბოტაჟნიკმა ედიგერმა არ შეასრულა გზის უფროსის განკარგოლება და დღემდე არ შეუდგა მუშაობას.

მექანიზაციის სამუშაოებზე გამოგზავნეს რკ. გზის საინჟინრო ინსტიტუტის სტუდენტი ქიმერიძე; იგი პრაქტიკის მიზნებად მიამაგრეს ზეინკალს. ქიმერიძემ რა მდენიმე ხანს იმუშავა, მაგრამ როცა ხელმაზუთით გაეცვარა მუშაობაზე უარი განაცხადა და გაიპარა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საბოტაჟნიკი ქიმერიძეც სათანადოდ დაისჯება.

შორაპანში გადმოტვირთვის მექანიზაციის სამუშაოები უნდა გაიწმინდოს უმთავრესად ხალხის და საბოტაჟნიკებისაგან. — ასეთია ჩვენი მოთხოვნა.

ბ. სიხარულიძე

ქუთაისის რეისების ქრონიკა

პირველი და მეორე რაიონის შეჯიბრება

ამხ. კუტაფინი, რომელმაც ორ კვირათიბისთვის ჩატარებული რეისების შედეგზე მეტი დაჰყო ამიერ-კავკ. რკ. გზებზე და ფართოდ გააცნო გზის მუშაკებს თავის მეთოდი, გაემგზავრა ჩრდილოეთ-კავკასიაში.

ტბლა ჩვენი გზის მუშაკების მთავარ ამოცანას შეადგენს ამუშაონ უკუტაფინით, კუტაფინისებურად.

კუტაფინის მეთოდის ფართოდ და უკეთ გამოყენების მიზნით ამიერ-კავკ. რკ. გზ. პირველ საექსპლოატაციო რაიონის სადისპეტჩერო აპარატმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია მეორე რაიონის სადისპეტჩერო აპარატი. გამოწვევა მიღებულია და დღეს ეს ორი რაიონი იბრძვის მუშაობის უკეთესი ხარისხისათვის.

შეჯიბრების საკითხი განხილული იყო გზის მეორე რაიონის სადისპეტჩეროს აპარატის საწარმოო თათბირზე, რომელმაც ჯილი გაუკეთა გზაზე ამხ. კუტაფინის და ჩაკვეტაძის მიერ ჩატარებულ მუშაობას.

ამკრეფი № 958-ის რეისი

ამხ. არზიანმა ერთი რეისი უკვე ჩატარა ამკრეფ მატ. № 958-თ 6 ოქტომბრის ტფილის-ხაშურის უბანზე. რეისმა გამოარკვია, რომ მიუხედავად კუტაფინ-ჩაკვეტაძის რეისებიდან მიღებულ გაკეთილებისა სადგურები ჯერ კიდევ ცუდათ მუშაობენ.

მატ. № 958 ხაშურში ჩაიდა 4 საათი და 55 წუთით ადრე, შეიძლებოდა კი ამ დროის კიდევ უფრო შემცირება, რომ არ ყოფილიყო მთელი რიგი შეფერხებები.

შორაპანის კვანძია - უკანასკნელი მზეთავი ამხ. ნ. ფცხილაძე

პირველი შეფერხება ამ მატარებელს კასპში შეხვდა. საერთოდ, წინად ჩატარებულმა საცდელმა რეისებმა ცხადჰყეს, რომ კასპი მეტისმეტად ცუდად მუშაობს, რისთვისაც მოხსნილი იყო სად. უფროსი. გაფრთხილება საკმარისად მიიღო კასპმა, მაგრამ როგორც უკანასკნელ რეისის შედეგებიდან ჩანს, მას ამ გაფრთხილებიდან არავითარი დასკვნები არ გამოუტანია.

ტფილისიდან მატ № 958-ს გასვლის წინ კასპი გაფრთხილებული იყო იმის შესახებ, თუ რა მუშაობას ჩაატარებდა იქ ამკრეფი და (სადგური) მომზადებული უნდა შეხვედროდა მას. გაფრთხილებული იყო სადგ. მოურგე კოკაძე.

მატარებელი მიეიდა კასპში. გამოირკვა, თითბირზე ჩატარებული რეისების შედეგების შესახებ, მოხსენებით გამოვიდა ამხ. ჩაკვეტაძე, რომელმაც გააცნო ამხანაგებს შედეგები, რომელიც მისცა გზას კუტაფინის მეთოდის გამოყენებამ. ეს შედეგი კი იმაში მდგომარეობს, რომ ამკრეფ მატარებლების მოძრაობაში ტფილის-ხაშურის უბანზე მოხდა ძირეული გარდატეხა. ამ კრეფი მატარებელი ახლა გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებზე ადრე მოძრაობენ. მაგრამ, როგორც თათბირმა აღნიშნა არ ცმარა კუტაფინის მეთოდების მარტო ცალკეულ მუშაკების მიერ გამოყენება, რადგან ამკრები მატარებლები რამოდენიმე დისპეტჩერის ხელში გაიელიან. (ერთი უშვებს მას განმკარგულებელ სადგურიდან, ატარებს ჭარკეთელ მანძილზე, შემდეგ მას სცვლის მეორე და მიჰყავს ბოლომდე).

ამიტომ დისპეტჩერებმა: ამხ. მორჩილაძემ, მეფაროანემა, მიქაძემ და არზიანმა იკისრეს ჩატარონ დამატებითი რეისები ამკრეფ მატარებლებით.

ამკრეფი № 958-ის რეისი

ამხ. არზიანმა წინადადებით მიმართა სად. მორიგეს დათაშვილს, რომ ვაგონი განეტვირთათ საბარო საწყობში, მაგრამ ამაზე მწონავმა ხარატიშვილმა გადაჭრით უარი განაცხადა. საქმეში ჩაერია სად. უფრ. თანაშემწე ტატიშვილი და მხოლოდ დიდი დავიდარაბის შემდეგ შეუდგა ხარატიშვილი ვაგონის თავის ცალის მუშებით ვაგონის გატვირთვას. გაბრაზებული მწონავი ყინს ტვირთავდნენ იყრიდა. მან ტონა მისცა მუშებს და ისინი ყოველად უხეშად დაერივნენ ცალებს, ყრიდნენ მას ვაგონიდან უხეშად, რაც იწვევდა ტვირთების დაზიანებას.

საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულების გამო მატარებელი სად. გომბიც შეხედა. იქ უნდა გადმოეტვირთა 16 ცალი ცარიელი ყუთი. აქაც მტვირთავმა ანტონოვმა მოითხოვა ვაგონის საწყობში ჩაყენება, რაც სრულიად არ იყო საჭირო, შეიძლებოდა მსუბუქ ყუთების ადგილზევე დაცლა და საწყობში ხელით მათი მიტანა. ანტონოვი ასე არ მოიქცა. ის ჩაჯდა საწყობის კარებში და გაიძახოდა—„ძოიყვანთ ვაგონს—განვტვირთავ, არა და ფეხსაც არ მოვიცოლი აქედანო“. გამოსავალი სხვა აღარ იყო, თვით ბარგის დარიგებელმა, მატარებელზე, გადმოტვირთეს ყუთები ადგილზე და მატარებელი გაუდგა გზას ხაშურისაკენ.

ამგვარად, ამკრიმა სრულიად ტყუილუბრალოდ დაკარგა გზაში 2 საათი ჩამოვლილ სადგურების მუშაკთა უსიგავსო მუშაობით.

საჭიროა ამ გარემოების ყურადღება მიექცეს. კოკაძე, ხარატიშვილი და ანტონოვი სამაგალითოდ უნდა იქნენ დასჯილნი.

სტატია გზის მეორე რაიონის პოლიტგანყოფილებას ეკუთვნის.

ტ. ანიძე.



ფოთი. პურით ტვირთავენ ვაგონს

პრესის მიმოხილვა

ოპერატიულობის გზით

„სტალინისის საყვირი“

სტალინისის საოროქლმავლო-სავაგონო დეპოს სტალინისის სადგურის სოციალისტური ანგარიშის სახით გამოსცემს პირობები მუშაობის სწორ ორგანიზაციას. დეპოს სამეურნეო სადგურისაგან მოითხოვდა: შესაძლებელი ვაგონების დროულად ჩაყენებას ... ადგილი, დაათავებინე შეკეთებული ვაგონების მაშინვე გაყვანას დეპოდან; სპეციალური ჩიხის მოწყობას რონდების მკრეფ შეკეთებისათვის, სამანეურო ორთქლმავლების ტენდერიდან ასი ტონა ქვანახშირით, სადგურში მატარებლები ორთქლმავლების მოსული მატარებლებიდან ორთქლმავლების დროზე მოხსნას, რათა ისინი გაისინჯოს საყოველთაო და მოეწესრიგონ შემდეგი რეისისათვის.

სამკუთხედი აღნიშნავს აგრეთვე, რომ სადგური ხშირად დეპოსგან მოითხოვს ორთქლმავლებს; ორთქლმავლების მისვლის შემდეგ სადგურის მუშაკები „გადაიფიქრებენ“, ხოლმე, მატარებელი აშლება, ორთქლმავალი ცდება და ა. შ.

დეპოს სამკუთხედი 9 პირობას ასე ასახუთებდა:

„შემოდგომა-ზამთრის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა სტალინისის სადგურის და დეპოს ტრანსპორტის ორგანიზაციებმა: დეპომებმა, ელმავლების დეპომ და სადგურმა მიიღონ ამთავითვე გადამჭრელი ზომები; ჩვენ დეპოს სამკუთხედი მივიღებთ ყოველგვარ ღონისძიებას, რათა დეპომ წარმატებით დაამთავროს ეს უაღრესად პასუხსაგები კამპანია, მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ, რათა სადგურმა შეასრულოს შემდეგი“:

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რას მოითხოვს დეპოს სატუხედი. 9 პირობა „სტალინისის საყვირში“ გამოქვეყნდა 10 ივლისს. იმავე ნომერში მოთავსებულია სადგურის სამკუთხედის გამოხმაურება.

სადგურმა ორთქლმავლების და ელმავლების დეპოს თავისი პირობები წაუყენა: არ დაუშვან ორთქლმავლების დაგვიანებით გამოსვლა; საღლეღმო ორთქლმავლები არ უნდა იქნეს გამოშვებული დეფექტებით; გამისვლელმა ბრიგადამ ვაგონები საუკეთესოდ გასინჯოს, ელმავლები მომარაგებული იქნეს სათადარიგო მასალით, რომ მას საჭიროების დროს შეეძლოს შეეკეთოს დეპოში დაუბრუნებლად რამდენიმე რეისის გაკეთება, მოეწყოს საკონტროლო „ჯოხი“ ელმავლების გამსვლელის დროის აღსარიცხავად და ასე შემდეგ.

სოციალისტური ანგარიშის მიზანი იყო სადგურის და დეპოების გეგმიანი და შეთანხმებული მუშაობის მიღწევა, უროიერთ კონტროლის გაძლიერება და მასში მუშათა ფართო მასების ჩაბმა. საჭირო იყო დეპოს და სადგურის მიერ აღებული ვალდებულებების სისტემატიურად შემოწმება; გაზეთი ამ დენს ამ შემოწმებას; ის გადაჰპრთ ბრძანების რკინის გზის მუშაობის გარდაქმნის შესახებ პარტიისა და ხელისუფლების დირექტივებისადმი უსულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულების წინააღმდეგ. ამხელებს პირობების მიუხედავად საბოტაჟნიკებს, ზარმაცებს, სიმულიანტებს, რომელთაც აშკარად ხელს უშლიან ტრანსპორტის გამოყვანას ვიწრო ადგილიდან.

პირველ რიგში გაზეთი წააწყდა სადგურის სამკუთხედის უსაფუძვლო პრეტენზიებს. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 10 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა დეპოს მიერ სადგურისადმი წაყენებული პირობები; იმავე ნომერში გამოქვეყნდა სადგურის მოთხოვნა დეპოს მიმართ.—რატომ გამოგვიწერეს, ეს ხომ ჩვენი შეურაცყოფა და ყრუეს ცვალებადობა— ასეთი დასკვნა გამოიტანეს სადგურის ხელმძღვანელებმა, როცა მათ დეპოს მომართვა წაიკითხეს. საქმე იქამდის მივიდა, რომ

„სადგურ სტალინისის სამკუთხედმა უარი გაუცხადა დეპოს მიერ წამოყენებული პირობების დაბუშავებაზე და ამდენადვე ცარი თქვა მათ შესრულებაზე“. („სტ. საყვირი“, 8 აგვისტო).

ამნაირად სადგურსა და დეპოს შორის შეიმა კატას გაირბინა. სადგურია ხელმძღვანელები ამბობდნენ: ისინი გაებტნენ“ სტალინისის საყვირს“ იმისათვის, რომ მან ინიციატივა აკისრა სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაზე; არაფერად ეპაშინჯათ, რომ სწორედ დეპომ წარუდგინა პირველად პირობები სადგურს და არა პირიქით.

სადგურის სამკუთხედმა, თავმოყვარეობით გატაცებულმა, საკითხი ისე შესახებ, თუ ვის წამოიწყო „ბამოწვევა“ პრინციპიალური სიმალეზე“ აიყვანა, „სტალინისის საყვირის“ სასარგებლო ინიციატივას ჩაშლის რეალური საფრთხე მოელოდა. მას წინ გადაეღობა ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური ზღუდე; მაგრამ მოსტყუებდნენ... გაზეთმა დაწყებულ საქმეს მტკიცედ ჩასჭიდა ხელი და ეს არის გაზეთის დამსახურება. მან სათანადო დასკვნები გაუკეთა სადგურის სამკუთხედის უსაფუძვლო პრეტენზიას:

„დიდი ბოდიში, მაგრამ ეს არ არის ბოლშევიკური მუშაობა. ამას ვერ მოვითმენთ. საქ. სახკომსაბჭოს და ცეკას 3 ივლისის დადგენილება სწორედ ასეთი ჩაწოვნილური სახკომსობას და ჩხვიანი პრეტენზიების წინააღმდეგაა მიმართული“. („ს.ს.“ 8 აგვისტო).

გაზეთი გადაჭრით მოითხოვს სადგურის სამკუთხედისაგან.

„კეთილინებეთ ამხანაგებო სადგურის სამკუთხედიდან და ისე, როგორც დეპომ, თქვენც ხელი მოჰკიდეთ ყველა იმ პირობის გაშორციელებას, რაც თქვენს მიმართ არის წამოყენებული. ჩვენ უფრო გვაინტერესებს ამ პირობების შესრულება. რაც შეეხება იმას, თუ ვინ წამოაყენა პირველად პირობები,—დაგითმობთ „პირველობა“ ამ წაყენებში თქვენთვის (დეპოს მუშები არ წავლენ წინააღმდეგ)“ („სტალინისის საყვირი“ 8 აგვისტო).

გაზეთი სისტემატიურად ამოწმებს, თუ ვინ როგორ ასრულებს ნაცისრ ვალდებულებებს; სპეციალური ბრიგადების მიერ ჩატარებული შემოწმებიდან ირკვევა, რომ

„არ სრულდება სადგურის მიერ ავადმყოფი რონდების დროულად ჩაყენება სარონდო პარკში შესაკეთებლად; მაგ. ოთხად. 16 აგვისს ახსნილი ვაგონი № 182769 სამ დღეს ატარეს ლიანდაგში. შემდეგ 19 აგვისს ჩამოაყენეს სარონდო პარკში“ („სტალინისის საყვირი“).

არც სამანევრო ორთქლმავლების გამოყენებაა მოწესრიგებული:

„სააღრიცხვო ორთქლმავალი № 9610 16 აგვისს სადგურმა ამუშავა 4 საათს, 18 აგვისს—5 საათს, 25 აგვისს—2 საათს, ნაცვლად 12 საათისა დღე-ღამეში“. რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში მუშაობის ფართო მასის დაყაზმვის მიზნით გაზეთი 25 აგვისტოს ატარებს მუშკორთა ფართო შეკრებას და ამუშავებს საკითხს: საკავშირო სახკომსაბჭოს და საკავშირო კომპარტიის 3 ივლისის დადგენილების რეალიზაცია და პრესის და მუშკორკორთა ამოცანები.

საქ. კ. პ (ბ) ტფილისის კომიტეტი და ა. კ. რკინის გზის მე-2 რაიონის პოლიტგანყოფილება, 10 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში იწვევს

ტფილისის კავანძის კომუნისტ-რკინისგზელთა აქტივის კრებას

დღის წესრიგი:

ა. კ. რკინის გზის პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. შვარცის მოხსენება ტფილისის რკინის გზის კვანძის მდგომარეობის და რკინის გზის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

ბილეთები ნაწილდება პარტუჯრედებს შორის.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი.

3—1 ა-კ. რკ. გზის მე-2 რაიონის პოლიტგანყოფილება.

სოფლის პროპაგანდისტის კუთხე

კლასობრივი ბრძოლის თავისებურებათა შესახებ სოფლად ახლანდელ ეტაპზე

ერთ რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში, სახელდობრ **პერეასლავის** ორგანიზაციაში (უკრაინა) არც თუ ისე დიდი ხნის წინად პარტიული კომიტეტის და საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე გაჩაღდა დავა იმ საკითხის გამო, თუ რაში მდგომარეობს სოფლად კლასობრივი ბრძოლის რაობა, ახლა, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების პირობებში.

ამ დავაში, როგორც აღნიშნული პლენუმის მონაწილე, ამხ. ს—ი გვატყობინებს, გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი, რამაც გვიჩვენა, რომ რაიონული აქტივის ნაწილს არ გააჩნია აუცილებელი სიცხადე ასეთ არსებით და პრაქტიკული მუშაობისათვის დიდად მნიშვნელოვან საკითხში.

მაგალითად, ერთ ამხანაგს ასეთი აზრი გამოუთქვამს: „სოფლად კლასობრივი ბრძოლის ძირითადი შინაარსი ამჟამად არის ბრძოლა კულაკობის ნაშთებთან, ამ ნაშთების გამოაშკარავება და მხილება, და სრულიადაც არა ბრძოლა სიზარმაცეს, ქურდობასა და სხვა კულაკურ და წვრილბურჟუაზიულ ნაშთებთან, როგორც აქ ზოგიერთი ამტკიცებს“.

ამხანაგს შემდეგ თავისი ეს თვალსაზრისი იმით დაუსაბუთებია, რომ, „სიზარმაცე და ქურდობა კულაკური მუშაობის შედეგია. ბოლო მოვუღოთ კულაკებს, — მაშინ ზარმაცების და ქურდების დაძლევა ძნელი არ იქნება“.

ამ თვალსაზრისისათვის მხარი დაუჭერია ზოგიერთ სხვა პერეასლაველ ამხანაგსაც, ამასთან ერთად მათგანს უთქვამს: „არ შეიძლება დავივიწყოთ კლასობრივი ბრძოლა და მთავარი ყურადღება კულაკებთან ბრძოლაზე გადავიტანოთ“.

გავერკვეთ ამ შეხედულებებში, რა არის აქ სწორი და რა არის შემცდარი.

ლენინი აღნიშნავდა „კლასობრივი ბრძოლის **ორ** ძირითად ამოცანას (და შესაბამისად — ორ ახალ ფორმას) პროლეტარიატის დიქტატურის დროს:

1) ექსპლოატატორების წინააღმდეგობის (და ყოველგვარი რეციდივის, კაპიტალიზმისა და კაპიტალისტური ტრადიციებისაკენ დაბრუნების) დათრგუნვა;

2) სისტემატიური ხელმძღვანელი ზემოქმედება (აგრეთვე ბრძოლა, მაგრამ თავისებური, ერთგვარი, მარათლია სულ სხვანაირი წინააღმდეგობის გადალახვა და სულ სხვანაირი გადალახვა) ყველა მშრომელზე, გარდა პროლეტარიატისა“ (მე-3 ლენინური კრებული, გვ. 494).

ამასთან ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს დაბეჯითებით, რომ, ორივე ეს ამოცანა ერთმანეთისაგან განუყოფელია, რომ ეს, როგორც ის ამბობდა, პროლეტარიატის დიქტატურის **ორიგინალი** ამოცანაა.

მოცემული ლენინური ფორმულა, რომ შევუფარდოთ ახლანდელ ვითარებას სოფლად; როგია საკოლმეურნეო წყობილებამ გაიმარჯვა, როცა კულაკობა, როგორც კლასი, ძირითადად ლიკვიდირებულია, მაშინ, რას ნიშნავს იგი პრაქტიკულად?

აუცილებელია უდიდესი კლასობრივი სიფხიზლე კლასობრივი მტრის ჯერ კიდევ არა მთლად მოსპობილ ნაშთების მიმართ, რომელნიც განადგურების შემდეგ მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიფანტნენ, „წმინდა“ და „უწყინარი“ ადამიანების ნიღაბი აიფარეს, თავი მოაქვთ კოლმეურნეობათა დამცველებად და მომხრეებად, ხოლო ამავე დროს ჩუმჩუმად, „შეპარვით“ მუშაობენ სწორედ ამ კოლმეურნეობათა დანგრევისა და დაშლისათვის.

პერეასლაველი ამხანაგი მართალია, როცა ამბობს, რომ კულაკური ელემენტები ამჟამინდენ თითონ კი არ იზარმაცონ და იპარონ, არამედ, გამოვიდენ ქურდობის, სამუშაოზე გამოუსვლელობის, საბოტაჟის **ორგანიზატორებად**, ამ გზაზე აქეზებენ ყველაზე უფრო ჩამორჩენილ და მერყევ კოლმეურნეებს. აქედან გამომდინარეობს, რომ საჭიროა უდიდესი სიფხიზლე, საჭიროა კოლმეურნეობათა გაწმენდა კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან, აუცილებელია უნარის გამოჩენა მავნებლობის თვითეული ცალკე შემთხვევაში, ან სხვა რაიმე მტრული აქტის შემთხვევაში მიაგნო მის ნამდვილ ორგანიზატორებს, და აქ შეუბრალებელი უნდა იყო.

მაგრამ ამ შემთხვევებშიც არ შეიძლება **მხოლოდ** დასჯის ზომების დაკვეთდეთ. ამოცანა ისაა, რომ კოლმეურნეთა. მთელი მასის თვალწინ გამოვაშკარავოთ ასეთი კულაკური ორგანიზატორი, დავანახვოთ ყველა კოლმეურნეს კლასობრივი მტრის სახე მთელი მისი საზიზღარი სიშიშვლით, და მივაღწიოთ იმას, რომ იგი თითონ კოლმეურნეებმა გამოააშკარავონ, გაადევნონ კოლმეურნეობებიდან და გადასცენ სახალხო, პროლეტარულ სასამართლოს.

პერეასლაველი ამხანაგები მართებულად მსჯელობენ კულაკობის ნაშთებთან დაუზოგავი ბრძოლის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ ისინი მხედველობიდან უშვებენ იმას, რომ აუცილებელია კლასობრივად უცხო ელემენტების მიმართ დასჯის ზომების **შეთავსება** კოლმეურნეთა მასაში პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობასთან, კოლმეურნეობათა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში თითონ კოლმეურნეების კლასობრივი სიფხიზლის და პოლიტიკური აქტიობის გაძლიერების ამოცანასთან.

ეს უხეში შეცდომაა, და იგი გვი ჩვენებს, რომ პერეასლაველ ამხანაგებს ვერ შეუგნიათ სოფლად შექმნილ ახალ ვითარებაში კლასობრივი ბრძოლის **ახალი მეთოდების** გამოყენების აუცილებლობა. მათ ვერ შეუთვისებიათ ამხ. **სტალინის** უმნიშვნელოვანესი მითითება, რომ „სანამ გლეხები ინდივიდუალურ მეურნეობას მ-სდევდნენ, —ისინი დაჩაგრული და ერთმანეთისაგან დაცალკევებული იყვნენ, რის გამო ანტი-საბჭოთა ელემენტების კონტრრევოლუციურ ზრახვებს დიდი ეფექტი ვერ მოყვებოდა. სულ სხვა სურათს ვღებულობთ,—ამბობს ამხ. სტალინი, — საკოლმეურნეო წარმოებაზე გლეხების გადასვლასთან, აქ გლეხებს კოლმეურნეობათა სახით უკვე აქვთ მასობრივი ორგანიზაციის მზა ფორმა. ამის გამო კოლმეურნეობებში ანტი-საბჭოთა ელემენტების ძებნა და მათ ანტი-საბჭოთა საქმიანობას შეიძლება გაცილებით მეტი ეფექტი მოყვეს“; („ლენინიზმის საკითხები“, პარტგამომცემლობა, მე-9 გამოცემის დამატება, გვ. 46—47).

ამიტომ ახლა ამოცანა მარტო ის როდია, რომ გამოააშკაროს და სამართალში მისცეს ესა თუ ის კულაკი — მავნებელი ან საბოტაჟის ორგანიზატორი. ამოცანა აგრეთვე ისაა, რომ მასობრივი ახსნა - განმარტებითი და პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის მართებულად დაყენებით აღკვეთოს და აღმოფხვრა კულაკური გავლენის უკანასკნელი ნაშთები, თუნდაც ეს გავლენა მოცემული კოლმეურნეობის წევრთა სულ ჩამორჩენილ და უმნიშვნელო ჯგუფზე ვრცელდებოდეს.

ნათქვამიდან უკვე ცხადია, რომ პერეასლაველი ამხანაგები სრულიადაც არ არიან მართალნი, როცა ერთი მთგანი სოფლად კლასობრივი ბრძოლის ძირითად შინაარსს **მხოლოდ** კულაკობის ნაშთებთან ბრძოლაში ხედავს და ანკალკევებს, ან სულაც განზე ტოვებს კოლმეურნეობებში კულაკურ და წვრილმესაკუთრულ ნაშთებთან ბრძოლის ამოცანას, ხოლო მეორე — ერთმანეთს უპირისპირებს კულაკური ელემენტებთან და, როგორც ის ამბობს, „კულაკებთან“ ბრძოლას, ვინაიდან „ულოყვაროვნელობით ფიქრობს, რომ, ეს უკანასკნელი არ შეიძლის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ამოცანებში.

ორივე ეს ამხანაგი, ალბათ, ერთხელაც არ დაფიქრებულა იმ საკითხზე, თუ, სახელდობრ, რას ეყრდნობიან კულაკობის ეს ნაშთები, რას ეყრდნობა მათი გავლენა კოლმეურნეთა ზოგიერთ ფენაში, სწორედ კრეფენ ისინი ძალებს წინააღმდეგობის, საბოტაჟის და სხ. ორგანიზაციისათვის? წინათ, კოლექტივიზაციამდე, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ჩატარებამდე, მშრომელი გლეხობის ცალკე ფენებზე კულაკური გავლენის ფესვები, რომ ნათელი იყო. კულაკობა სოფლად წარმოადგენდა განსაზღვრულ, საკმაოდ მნიშვნელოვან ძალას, როგორც საგანგებო მშრომელ გლეხ-ერთპიროვნულ მეურნეთა მკვირე რაოდენობა როდი იყო დამოკიდებული.

ახლა კი, როცა კულაკური მეურნეობანი ლიკვიდირებულია, როცა კულაკობის წინააღმდეგური შედარებით, სამეურნეო სიძლიერიდან არაფერი დარჩენილა, როცა კულაკური ბუდეები განადგურებული და გაცამტვერებულია, — რაშია ამჟამად კლასობრივი მტრის ჯერ კიდევ არა მთლად მოსპობილი ნაშთების ძალა, როგორ პოულობენ ისინი გზას კოლმეურნეთა ზოგიერთი ნაწილის აზრებისა და გრძნობებისაკენ?

მთავარია ის, რომ კოლმეურნეობებში, როგორც ჯერ კიდევ პარტიის მე-16 ყრილობამ აღნიშნა, კ**არ მთავრდება, არამედ მხოლოდ იწყება** გლეხობისათვის სოციალისტური მშენებლობის სწავლება, რომ „კოლმეურნეობებში გლეხები საბოლოოდ დაიწვნევენ თავს წვრილ-ერთპიროვნული ფსიქოლოგიას, კერძო მეურნეობრივი დაგროვების წყურვილს, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს წარსულ კერძო მესაკუთრეთა თაობისაგან, მხოლოდ მთელ რიგ წლების განმავლობაში წარმოებული შეუპოვარი მუშაობით კოლმეურნეობებისათვის მსხვილი მექანიზებული მეურნეობის ბაზის შესაქმნელად, ენერგიული მუშაობით კოლმეურნეებისაგან კადრების მოსამზადებლად, მხოლოდ კოლმეურნეთა მთელი მასის კულტურული განვითარების შედეგად“ (საკ. კომპარტიის (ბ) მე-16 ყრილობის რეზოლუცია საკოლმეურნეო ვაჭრობისა და

პარტიული მშენებლობა

„ბარდავქმნათ ტფილისის საქალაქო მეურნეობა"

ამხ. ლ. გერიას მითითებათა საფუძველზე

ტფილისის საბჭოს პარტიულმა ორგანიზაციამ გადაჭრით უნდა გარდაქმნას მუშაობა

ტფილისის საბჭოს პარტიული ორგანიზაციის წინაშე უდიდესი ამოცანებია დასახული საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში. სახ. კ.პ. (ბ) ტფილისის საბჭოს უკანასკნელი გაერთიანებული პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და ამხ. ლ. ბერიას სიტყვაში მოცემულია ტფილისის საბჭოს მუშაობის გაშლილი პროგრამა. ამ ამოცანის შესრულება ტფილისის საბჭოს პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვს პარტმასობრივი მუშაობის გარდაქმნას, კანცელარიულ-ბიუროკრატიული წესით ხელმძღვანელობის ლიკვიდაციას და პარტიული წევრი და კანდიდატთა მთელი შემადგენლობის დარაზმვას.

